

ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ხაშური

2019 წლის 29 მარტი

სხდომის თავმჯდომარე გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები: მამუკა წიქარიშვილი, ირინე გელაშვილი, ანა ხარებავა, ზურაბ ჩხიტუნძე, ნინო სუხიაშვილი, ირინე გოგიტაური, ირინე გოცირიძე, მარიამ ქათამაძე.

დღის წესრიგი

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საბჭოს 2019 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური მიმართულების მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზი
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

1. სხდომის თავმჯდომარემ მონაწილეებს გააცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 2019 წლის სამოქმედო გეგმა, აღნიშნა, აპრილის მორიგ სხდომაზე გათვალისწინებულია გარკვეული ცვლილებების შეტანა აღნიშნულ გეგმაში, ცვლილებები ძირითადად ეხება „ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების“ თაობაზე

- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის შესაბამის მიმართულებებს კერძოდ: დევნილთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის ძალადობის აღკვეთას, ომის შედეგად დაზარალებული ქალების და ბავშვების დაცვას და დახმარებას.

რომ ისაუბრა მის შესრულების პერსპექტივებზე, უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

აზრი გამოთქვას: მამუკა წიქარიშვილმა, ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, ზურაბ

ჩხიტუნძემ.

2 ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალური მიმართულების მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზი.

მომხსენებელი /გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი მამუკა წიქარიშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალური პროგრამების ზოგადი გენდერული სტატისტიკა ასეთია:

უფასო სასადილოს პროგრამა: ბენეფიციარების 30% მამაკაცი, 70% ქალი;

მრავალშვილიანი დედების პროგრამა - ყველა, 300-მდე ბენეფიციარი ქალია;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დახმარების პროგრამა - 15 ბენეფიციარიდან 1 ქალია;

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომებში მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა - ყველა ბენეფიციარი მამაკაცია;

მაღალმთიან სოფლებში მასწავლებლების უფასო მგზავრობის პროგრამა - ყველა ბენეფიციარი ქალია.

სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარების პროგრამა - 45% მამაკაცი, 55%- ქალი;

დიალიზზე მყოფი პაციენტების დახმარების პროგრამა - 60% მამაკაცი, 40% ქალი.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების პროგრამა - 55% მამაკაცი, 45% ქალი.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მოგვმართავენ როგორც წესი, ქალები, თუმცა, ვინაიდან მუნიციპალიტეტში დადგენილი წესის მიხედვით განცხადება დახმარების შესახებ უნდა დაწეროს უშუალოდ ბენეფიციარმა, შესაბამისად, მიმართვიანობა და გაწეული დახმარების სტატისტიკა ერთმანეთს ემთხვევა.

რაც შეეხება სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობას იძულებით გადაადგილებული პირების და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, აღსანიშნავია, რომ ისინი ისევე არიან სოციალური პროგრამების ბენეფიციარები, როგორც ნებისმიერი ხაზურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქე. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის მოქმედებს დამატებითი სახელმწიფო პროგრამაც, რომელიც აფინანსებს მათ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. ამ პროგრამით სარგებლობს 17 სტუდენტი, რომელთაგან 15 გოგონაა.

აზრი გამოთქვას: ნინო სუხიაშვილმა, ანა ხარებავამ, ზურაბ ჩხიტუნიძემ.

- სხდომის მონაწილეთა მიერ ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

4. ხაზურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში;

სხდომის თავმჯდომარემ მონაწილეებს გააცნო მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები გენდერულ ჭრილში;

N		საკრებულო	მერია	სულ
1	თანამშრომელთა რ-ბა - სულ მ.შ	35	138	173
	ქალი	12	64	76


	კაცი	23	69	92
2	ხელმძღვანელი პოზიცია	20	13	33
	ქალი	4	1	5
	კაცი	16	11	27
3	გენდერულ ჭრილში ისარგებლა უფასო შვებულებით	-	-	-
	ქალი	-	-	-
	კაცი	-	-	-
4	ისარგებლა დეკრეტული შვებულებით	-	1	1
	ქალი	-	1	1
5	გათავისუფლებული თანამშრომელი	-	1	1
	ქალი	-	-	-
	კაცი	-	1	1
6	მრავალშვილიან თანამშრომელთა რ-ბა(3 და მეტი შვილი)	7	11	18
	ქალი	2	5	7
	კაცი	5	6	11

აზრი გამოთქვას: ნინო სუხიაშვილმა, ანა ხარებავამ, ზურაბ ჩხიტუნიძემ, ირინე გოგიტაურმა, ირინე გოცირიძემ, მიხეილ ჯანაშვილმა.

- ინფორმაცია გენდერულ ჭრილში ხაშურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემების შესახებ მიღებული იქნა ცნობად»

საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დამთავრებული იქნა.

მიხეილ ჯანაშვილი



სხდომის თავმჯდომარე